


ეწვიეთ Ubiquiti Networks-ის ოფიციალურ ვებ გვერდს (https://www.ubnt.com/download/unifi) და გადმოწერეთ კონტროლერი




დააინსტალირეთ პროგრამა და გაუშვით ადმინისტრატორის უფლებებით. გამოვა ზემოთ მოცემული ფანჯარა და იმისათვის, რომ გახსნათ კონტროლერის სამართავი ინტერფეისი, დააჭირეთ “Launch a Browser to Manage the Network”




ბრაუზერში გაიხსნება ფანჯარა, სადაც პირველადი ინსტალაციის დროს უნდა გაიაროთ რამდენიმე საფეხური. აირჩიეთ დროის სარტყელი და ქვეყანა და დააჭირეთ Next

*გაითვალისწინეთ, რომ საქართველოს არჩევის შემთხვევაში დაშვების წერტილის გადამცემის სიმძლავრე შესაძლოა  უფრო დაბალი აღმოჩნდეს, ვიდრე დოკუმენტაციაშია მითითებული.  თუ გნებავთ მაქსიმალური სიმძლავრის მიღწევა აირჩიეთ ის ქვეყანა, სადაც გადამცემის სიმძლავრე იქნება მაქსიმალური (მაგ. შეერთებული შტატები).




თუ თქვენი UniFi მოწყობილობა უკვე ჩართული გაქვთ ლოკალურ ქსელში, Discover პროტოკოლის საშუალებით პროგრამა აღმოაჩენს მას. მონიშნეთ იგი და დააჭირეთ Next.




შეიყვანეთ WiFi ქსელის SSID და პაროლი.
ასევე შეგიძლიათ მონიშნოთ “Enable Guest Access”*.
დააჭირეთ NEXT

* თუ გნებავთ უსადენო ქსელის შექმნა სტუმრებისთვის, ავტორიზაციის განსხვავებული მეთოდით.




შეიყვანეთ ადმინისტრატორის სახელი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და პაროლი, კონტროლერში შემდგომი ავტორიზაციისთვის.

'ინტელკომ ჯგუფი'
ოფიციალური დისტრიბუტორი
www.intellcom.net




შეგიძლიათ შეიყვანოთ Ubiquiti - ს ანგარიშის სახელი და პაროლი რათა დაშორებული ქსელიდან მიუერთდეთ კონტროლერს, ან გამოტოვოთ აღნიშნული საფეხური (SKIP)




გთხოვთ გადაამოწმოთ ინფორმაციის სისწორე და დაასრულეთ პირველადი კონფიგურაცია.




შესაბამის ველებში ჩაწერეთ თქვენს მიერ შექმნილი ადმინისტრატორის სახელი და პაროლი და დააჭირეთ Login-ს, რათა შეხვიდეთ სისტემაში.




ლოკალურ ქსელში ახალი Unifi AP ჩართვის შემთხვევაში აღნიშნული მოწყობილობა გამოჩნდება კონტროლერში გააქტიურების მოლოდინის (Pending) რეჟიმით. მაკ-მისამართის შესაბამისად აირჩიეთ თქვენი დაშვების წერტილი და დააჭირეთ Adopt ღილაკს აქტივაციისთვის.




რამდენიმე წამის შემდეგ დაშვების წერტილი გააქტიურდება და მზადაა სამუშაოდ.




იმისათვის რომ შეცვალოთ თქვენი WiFi ქსელის SSID ან პაროლი, მიყევით სურათზე გამოსახულ ინსტრუქციას (Settings -> Wireless Networks -> EDIT) მოცემულ მენიუში, არსებული პროფილის რედაქტირების (edit) გარდა, თქვენ ასევე შეგიძლიათ დაამატოთ (Create) ახალი პროფილი, განსხვავებული სახელით (SSID) და ავტორიზაციის მეთოდით.




კონტროლერის საშუალებით ასევე შეგიძლიათ იხილოთ მიერთებული მომხმარებლების რაოდენობა, IP მისამართები, მოხმარებული ტრაფიკი და სხვა.